



ამგვიცებულია

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის

სოფელკეხიჯვარის საჯარო

სკოლის დირექტორის მ/შ

.08.2023 წლის N2- ბრძანებით

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლის

სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია



1. შესავალი

1.1. აღნიშნული დოკუმენტების შემუშავებისას სკოლა ეყრდნობა ინკლუზიური განათლებას მარეგულირებელ შემდეგ მოგად და შიდა საკანონმდებლო აქტებს – კანონი მოგადი განათლების შესახებ, სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. **06 ივლისის N2-266 ბრძანებით** დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლის დირექტორის **2023 წლის 21 ივნისის N2-243** ბრძანებით დამტკიცებული ინკლუზიური განათლების პროგრამა და დებულება, სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლის სკოლის შინაგანაწესი, „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის ბრძანება №16/ნ

2. სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირების რეგულაცია

2.1. ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების III თავის მე-6 მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ საგნის მასწავლებელი/კლასის დამრიგებელი მიიჩნევს, რომ მოსწავლეს თანაგოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში და მისთვის საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება. საგნის მასწავლებელი/კლასის დამრიგებელი ვალდებულია, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მოსწავლის კლასის დამრიგებელს (საგნის მასწავლებლის შემთხვევაში) და ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ შესაბამის სპეციალისტებს, ასევე სკოლის დირექციას.

2.2. ბრძანებით გათვალისწინებული სათანადო წინაპირობების არსებობისას, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული შესაბამისი სპეციალისტები საგნის მასწავლებლებთან/კლასის დამრიგებელთან ერთად, მიმართვის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, აფასებენ მოსწავლის მოტორულ, კოგნიტურ, ფსიქომოციურ, აკადემიურ, კომუნიკაციურ, სოციალურ, ქცევით, ფუნქციურ უნარებს და მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით შეიმუშავენ რეკომენდაციებს მასწავლებლის/მასწავლებლების, კლასის დამრიგებლის, სკოლის დირექციისა და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისათვის წარსადგენად.

2.3. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გამოხატული აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულე და სკოლის მიერ სირთულის პირველადი მართვის მიზნით გათვალისწინებული ზომების მიღების მიუხედავად, ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს 1-დან – 2-მდე განმავლობაში, კლასის დამრიგებელი/მასწავლებელი/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული შესაბამისი სპეციალისტები უფლებამოსილი არიან მიმართონ სკოლის დირექტორს, მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მოთხოვნით. ამ შემთხვევაში სკოლა აწვდის მშობელს საჭირო ინფორმაციას და მისგან იღებს წერილობით თანხმობას მისი შვილის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მიზნით.



3. სსსმ სტაგუსის მინიჭებისა და მოხსნის რეგულაცია

3.1. სტაგუსის მინიჭება

3.1.1. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოსწავლეს გამოხატული აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულე, მიუხედავად სკოლის მიერ გათვალისწინებული ზომების მიღებისა ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს 1-დან 2-მდე განმავლობაში, კლასის დამრიგებელი/მასწავლებელი/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული შესაბამისი სპეციალისტები უფლებამოსილი არიან მიმართონ სკოლის დირექტორს, მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მოთხოვნით.

3.1.2. მომართვის წარდგენის შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს მიაწოდოს შემდეგი სახის ინფორმაცია: ა) მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სიძნელების აღწერა და დასაბუთება;

ბ) იმ ზომების აღწერა, რომლებიც სკოლამ მიიღო მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სიძნელების მართვის მიზნით, მაგრამ არ აღმოჩნდა საკმარისი.

ამ ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი სკოლას მიმართავს წერილობითი ფორმით და გამოხატავს თანხმობას მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებასთან დაკავშირებით.

3.1.3. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი ამ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ არ არის თანახმა შედგეს მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება, ის სკოლის დირექტორს მიმართავს განცხადებით, რომელშიც ხელმოწერით ადასტურებს, რომ თავად იღებს პასუხისმგებლობას მოსწავლის სწავლის/სწავლების შედეგებზე. თუ მოსწავლე კვლავ ავლენს სიძნელეს სწავლასთან დაკავშირებით, რაც მისი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების აუცილებლობაზე მიუთითებს, დადგენილი წესით სკოლა გონივრულ ვადებში განმეორებით იღებს ზომებს მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებაზე მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის მისაღებად. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი წინააღმდეგია მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ განაცხადოს წერილობით.

3.1.4. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია, სკოლის დირექტორს მიმართოს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მოთხოვნით.

3.2. სტაგუსის მოხსნა

3.2.1. თუ არსებობს საგნის მასწავლებლის, კლასის დამრიგებლის, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის დასაბუთებული ვარაუდი, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებს კონკრეტულ საგანში/საგნებში და აღარ ესაჭიროება მინიჭებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტაგუსი, მოსწავლის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას აფასებს და შესაბამის დასკვნას ადგენს მულტიდისციპლინური გუნდი.

3.2.2. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია, მიმართოს სკოლის დირექტორს და მოითხოვოს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტაგუსის მოხსნის.



4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია

4.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზანია, უზრუნველყოფილ იქნეს მოსწავლის განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების დონის გათვალისწინებით სწავლასწავლების, შეფასების სათანადო ფორმებისა და პირობების შეთავაზება და მათი შეუფერხებელი ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში; ამასთან, სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა.

4.2. დაწესებულება უზრუნველყოფს თითოეული სსსმ მოსწავლისთვის ისგ-ჯგუფის შექმნასა და შესაბამისი ოქმის მომზადებას;

4.3. სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მოიცავს

- ზოგად ინფორმაციას
- ი.ს.გ. ჯგუფის შეხვედრების კალენდარს
- მონაცემებს სასწავლო პროცესის შესახებ
- მოსწავლის აკადემიური და განვითარების სფეროების მიხედვით ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების აღწერას.

4.4. ისგ ჯგუფი იკრიბება, სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ. ისგ ჯგუფის წევრები შეხვედრაზე განიხილავენ სსსმ მოსწავლის მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს, მის სასწავლო შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საჭიროებას, სწავლებაში ახალი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვის საჭიროებას და აუცილებელ რესურსებს.

4.5. სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ინახება მოსწავლის პირად საქმეში.

4.6. ისგ ჯგუფის შეხვედრებზე კლასის დამრიგებელი აწარმოებს სხდომის ოქმებს. ასევე ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში.

4.7. სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოარებულია მშობლისთვის.

4.8. სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეყრდნობა მოსწავლის შესაძლებლობებს და ინგერესებს. ძლიერ და სუსტ მხარეებს.

4.9. სასწავლო წლის დასასრულს, ისგ ჯგუფის წევრი თითოეული მასწავლებელი აფასებს შესაბამის საგანში სსსმ მოსწავლის მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები) შესაბამისობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და ანგარიშს წარუდგენს დირექტორს, პედაგოგიურ საბჭოს და მშობელს.

5. მომსახურებების მიწოდების რეგულაცია

5.1. სკოლა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს აწვდის და უწევს სხვადასხვა მომსახურებას: ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებს, ფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, სსსმ მოსწავლის ასისტენტი, გახანგრძლივებული ჯგუფი, რესურს ოთახი;

5.2. დაწესებულებაში თითოეული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება და განხორციელება;

5.3. სსსმ მოსწავლეები თანაბრად არიან ჩართული სკოლის როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ აქტივობებში მათი ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით; პროექტულ სწავლებაში და სხვადასხვა აქტივობებსა და ღონისძიებებში;



6. სსსმ მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირების მექანიზმები და რეგულაცია

- 6.1. მინიმუმ 3 თვეში ერთხელ საჭიროა სსსმ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება. აღწერება სკოლის შიდა რეგულაციები ინფორმირების მექანიზმების შესახებ. კერძოდ, დაწესებულება უზრუნველყოფს თითოეული სსსმ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას მოსწავლის მიღწევების შესახებ მინიმუმ 3 თვეში ერთხელ;
- 6.2. კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება ხდება წერილობითი გზით, ნაბეჭდი ან ელექტრონული სახით;
- 6.3. კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას კოორდინირებას უწევს სპეციალური მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი, აწვდის მშობელს საგნის პედაგოგებისა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების მიერ გამოკვეთილ მიღწევებსა და საჭიროებებს.

7. სსსმ მოსწავლის კონფიდენციალობის უზრუნველყოფის რეგულაცია

- 7.1. სკოლის დონეზე კონფიდენციალობის შენარჩუნება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, კერძოდ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის, სსიპ ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ გორის N9 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ 2023 წლის 06 ივნისის N2-176 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების თანახმად.
- 7.2. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე წვდომა აქვს სპეციალურ მასწავლებელს, კლასის დამრიგებელს, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, საგნის მასწავლებლებს, სკოლის ფსიქოლოგს, სსსმ მოსწავლის ასისტენტს.
- 7.3. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სსსმ მოსწავლეთა კონფიდენციალობის დაცვაზე პასუხის აგებს სკოლის საინფორმაციო მენეჯერი სსიპ ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ გორის N9 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ 2023 წლის 06 ივნისის N1კ/91 დამტკიცებული ბრძანების შესაბამისად;
- 7.4. სსსმ მოსწავლის სწავლის პროცესის ამსახველი მასალა (ნამუშევრები, ლოკუმენტები, ვიდეო, ფოტო და აუდიო ჩანაწერები) დაცული და კონფიდენციალურია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის მექანიზმები

- 8.1. სკოლას განსაზღვრული ჰყავს შინა მონიტორინგის ჯგუფი.
- 8.2. ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგს სკოლა ახორციელებს არანაკლებ სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ.
- 8.3. ჯგუფის არცერთი წევრი არ უნდა ასწავლიდეს სსსმ მოსწავლეს.
- 8.4. შიდა მონიტორინგის ჯგუფი ახორციელებს დაკვირვებას ისგ-ს განხორციელებაზე და წლის ბოლოს წერილობით გასცემს რეკომენდაციებს.



9. ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა

N	აქტივობები/შინაარსი	პასუხისმგებელი პირი/პირები	20__				20__						შენიშვნა	
			IX	X	XI	XII	I	II	III	IV	V	VI		
1.	ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების დასაქმების მიზნით კანონმდებლობით დადგენილი წესით კონკურსის გამოცხადება და შესაბამისი პროცედურების განხორციელება	საკონკურსო კომისიის წევრები დირექტორი												საჭიროების შემთხვევაში
2.	ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებთან ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება	დირექტორი												საჭიროების შემთხვევაში
3.	ისგ ჯგუფის/ჯგუფების შექმნა	დირექტორი												შესაძლებელია წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს გამოვლინდეს სპეციალური საჭიროება და საჭირო გახდეს ისგ ჯგუფის შექმნა
4.	მოსწავლეებზე დაკვირვება და, არსებობის შემთხვევაში, სწავლის პროცესში სიძნელების გამოვლენა	დამრიგებელი/ მასწავლებელი												
5.	სსსმ მოსწავლის/მოსწავლეების შეფასება	ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი, მასწავლებლები												შესაძლებელია წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს გამოვლინდეს სპეციალური საჭიროება

